




ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა ვლადიმერის სახელობის სასულიერო სემინარიაში დაარსდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს ფონდი



მოახლოებული საზეიმო თარიღის - რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის დაბადებიდან 75 წლისთავისათვის ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა ვლადიმერის სახელობის სასულიერო სემინარიაში შეიქმნა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს ფონდი, რომელიც ბიბლიის შესწავლის დარგში კვლევების წახალისებას ისახავს მიზნად. ამის შესახებ სემინარიის პრეზიდენტმა ჩად ჰატფილდმა განაცხადა 2021 წლის 11 ნოემბერს,

სამეცნიერო-საღვთისმეტყველო კონფერენციის – „გამოიკვლიეთ წმინდა წერილი“ – გახსნამდე, რომელიც სემინარიის კედლებში ჩატარდა.

როგორც დეკანოზმა ჩად ჰატფილდმა საზგასმით აღნიშნა: „ამ ფონდისთვის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის სახელის მინიჭება სემინარიის სამეურვეო საბჭოს ერთსულოვანი გადაწყვეტილება იყო, მათ ამგვარად გამოხატეს მისი უწმინდესობის, როგორც მსოფლიო მართლმადიდებლობის კრიზისის პირობებში საეკლესიო მოწყობის კანონიკურობის პრინციპული და თანმიმდევრული დამცველის, მხარდაჭერა“.

წმინდა ვლადიმერის სემინარიის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ფონდის შექმნა შესაძლებელი გახდა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონის მონაწილეობით, რომელიც არის სემინარიის საპატრიარქო დოქტორი და მრავალი წლის განმავლობაში მისი სამეურვეო საბჭოს წევრი. სახსრების მოზიდვა საგრძნობლად გააფართოვებს წმინდა ვლადიმერის სემინარიის შესაძლებლობებს ბიბლიის გამოკვლევის სფეროში: კერძოდ, ამ სახსრებიდან მიეცემათ სტიპენდია აღნიშნული მიმართულებით მომუშავე სტუდენტებს. პერსპექტივაში სემინარიაში დაწესდება ბიბლიის მცოდნეობის პროფესორის თანამდებობა.

წმინდა ვლადიმერის სემინარიაში გახსნილმა კონფერენციამ მოიზიდა აშშ-ის უნივერსიტეტებში მომუშავე ბიბლიის მცოდნეობის დარგის წამყვანი მეცნიერები. მის გახსნას მრავალრიცხოვანი სტუმრები დაესწრნენ სრულიად ამერიკისა და კანადის უნეტარესი მიტროპოლიტის ტიხონის, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტის ილარიონის, ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების იერარქებისა და სხვა ქრისტიანული კონფესიების წარმომადგენლების ჩათვლით.

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური